ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: გიორგი ჭყოიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: ზურაბ ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი"-ს დამტკიცების შესახებ.

მომხს: ნანა კიკნაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №35 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ''ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითის ადმინისტრაციული შენობაში მდებარე 16.24 კვ.მ ფართის (ს/კ 36.03.41. 006. 01. 500) ფიზიკური პირის ნათია ჭუმბურიძის-ათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: მაია ალავიძე

7 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის N 50/48 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს სახელის ფრაქცია „მოძრაობა ხარაგაულისათვის" სახელით შეცვლის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

9. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს რეგისტრაციის შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

10 „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

11. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის მორიგი სხდომის
ოქმი N 7

2021 წლის 5 აპრილი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზი ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძ, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, დავით მაღლაფერიძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ზურაბ ბანცაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

გიორგი ჭყოიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი.

ალექსანდრე ტაბატაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის განყოფილების უფროსი-

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

ნ. კაპანაძე, თამთა გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს ჟურნალისტები

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის განცხადება საკრებულოს სხდომის ღია ეთერით გადაცემასთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა .

საკრებულოს 29-ვე წევრის თანხმობის მიღების შემდეგ

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ ბელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: გიორგი ჭყოიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: ზურაბ ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი"-ს დამტკიცების შესახებ.

მომხს: ნანა კიკნაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №35 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ''ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითის ადმინისტრაციული შენობაში მდებარე 16.24 კვ.მ ფართის (ს/კ 36.03.41. 006. 01. 500) ფიზიკური პირის ნათია ჭუმბურიძის-ათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: მაია ალავიძე

7 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის N 50/48 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს სახელის ფრაქცია „მოძრაობა ხარაგაულისათვის" სახელით შეცვლის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

9. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს რეგისტრაციის შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

10 „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

11. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა- მერის პირველი მოადგილე, რომელმაც გააკეთა მოკლე ანალიზი 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ცალკეული მუხლების მიხედვით, ასევე აღნიშნა რომ მერიის საქმიანობაში წინა წელს იყო ხარვეზები, ჩვენ ახალი შემადგენლობა ყველაფერს ვაკეთებთ , რომ აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებები, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი თანხები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დროულად იქნეს ათვისებული და მეტი სიკეთე მივიდეს ხალხთან. დაჩქარდება ყველა ღონისძიება, რათა თანხები იქნეს ათვისებული.

ი. კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ ხარაგაული არის სოფლის მეურნეობის რაიონი და მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ დარგის განვითარებას, არცერთი თეთრი არ დახარჯულა ამ მიმართულებით გასულ წელს , მინდა ვთხოვო ბატონ ვლადიმერს და ყველას მაქციონ ყურადღება ამ საკითხს.

თ. ავალიშვილმა -დასვა შეკითხვა მომხსენებლის მიმართ სახელფასო ფონდის, სოც. პროგრამების და ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილი თანხის ათვისებასთან დაკავშირებით

ვ. გელაშვილმა განმარტა, რომ გარდა სოც პროგრამების დაფინანსებისა ყველა სფეროში დარჩა თანხა აუთვისებელი, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის სფეროში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის გიორგი ჭყოიძის ანგარიში -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შპს -2011 -ს , რომელსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი შემოსავლები ქონების გაქირავებიდან არადა ვიცით, რომ გრეიდერი გაქირავებული ჰყავს 1 თეთრი არ აქვს შემოტანილი ბიუჯეტში და იქეთ მოითხოვა თანა 20 200 ლარი ტექნიკის შესაკეთებლად, თქვენ თუ შეამოწმეთ , რა დარღვევები აღმოაჩინეთ, რომელია გამოსწორებადი და რომელი არა.

გ. ჭყოიძემ უპასუხა, რომ ეს კითხვები ჩვენც გვაქვს დასმული, პრობლემები არის

მ. ბარბაქაძემ შპს- 2011- ის საქმიანობის სესწავლა დაავალა საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის კომისიებს მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ჩართულობით.

პ. გოგოლაძემ - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი გ. ჭყოიძის სახით, სამსახურის საქმიანობა არის გამჭვირვალე და ეფექტური, მე ფრაქციის სახელით ვაფასებ დადებითად, ერთად -ერთი, რაც მინდა ვთხოვო გიორგის არის ის, რომ მეტი კომუნიკაცია ჰქონდეს მერთან

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ბანცაძის ანგარიში- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილე კომისიის სხდომაზე წინსვლა შეინიშნება, ყველა ხარვეზი აღმოფხვრილი არაა, მაგრამ მზაობა ასის საქმიანობის გაუმჯობესები, ზურაბი არის კომუნიკაბელური პიროვნება, თანამშრომლობა შეუძლია, ვფიქრობ, რომ სამსახური ფუნქციონირებს ნორმალურად და ვაფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის განყოფილების უფროსის ალექსანდრე ტაბატაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“-ს დამტკიცების შესახებ.(თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №35 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ''ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი
მომხრე 28
წინააღმდეგი 0
თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის სემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითის ადმინისტრაციული შენობაში მდებარე 16.24 კვ.მ ფართის (ს/კ 36.03.41. 006. 01. 500) ფიზიკური პირის ნათია ჭუმბურიძის-ათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი
მომხრე 29
წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის N 50/48 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი
მომხრე 29
წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს სახელის ფრაქცია „მოძრაობა ხარაგაულისათვის“ სახელით შეცვლის ცნობად მიღების შესახებ.(თან ერთვის)

განკარგულება ცნობად იქნა მიღებული.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია საკითხზე- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს რეგისტრაციის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულება ცნობად იქნა მიღებული.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია საკითხზე-„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N 50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულება ცნობად იქნა მიღებული.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულება ცნობად იქნა მიღებული.

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე